20 ს იანვარს, № 2 1887 წელსა.

ᲛᲬᲧᲔᲛᲘ

1883-1887

მწყემსი დამატებით კამათდის თვეში ᲮᲣᲗᲯᲠ, ყოველ თვის ᲐᲗᲘᲡ, ოგზ ᲚᲐᲪ-და-ᲗᲗ რიცხვებში.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ერთი წლისა გაგზავნილი დაგაუგზავნელად	—	5 მან.
ნახევარი წლის — — —	—	3 —
„მწყემსი“ რუსული დამატებით	—	6 —
ნახევარი წლით — —	—	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით —	—	3 —
ნახევარი წლით — —	—	2 —

გაზეთის თვლის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ აღრეცსით: *Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ᲛᲬᲔᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლად და ამიტომ ამ წესის შემოღება საჭიროა. გარდა ამისა სემინარიელების მისაზიდვადად საჭიროა, რომ, როცა რომელიმე მათგანი მცირე სამრეველოში მიდის მღვდლად, შემდეგ ის კარგს სამრეველოში იქმნეს გადაყვანილი. მართალია, თუ მღვდელს გულით და სულით მოკიდებული აქვს ხელი თავის მოვალეობისათვის, ის ერთი სამრეველოდამ მეორეში არ უნდა გადად�, მაგრამ შეიძლება ასეთმა პირმა დიდ სამრეველოში უფრო დიდი სარგებლობა მოიტანოს და თავის ნიჭიერი მდგომარეობაც გაიუმჯობესოს.

ამისთანა საშუალებით ჩვენ მოვიპოვებთ სემინარიელებს და მეორეს მხრით მათი მომზადებისა სულიერსაც დავაკმაყოფილებთ, რომელთაც უკანასკნელი საშუალება წაუტანთ თავიანთი შვილების სემინარიაში გამოზრდაზე.

ხშირად გვესმის ჩვენ საჩიეარი სემინარიელებზე, რომ მათ საეკლესიო წიგნების კითხვა არ იციანო და არც საღმრთო მსახურების ტიპიკონი აქვსთ შესწავლილიო. ეს მართალია. მაგრამ ამაში ვინ არის დამნაშავე? სემინარიელები? სრულიად არა. აბა ერთი შინჯეთ და რომელიმე სემინარიელს ბერძნული და ლათინური ენაე რომელიმე ზმნა მიმოახვევეიეთ და ნახავთ, რომ ის ერთ შეცდომასაც არ დაუშვებს. რაზედაც ნამეტანი ყურადღება არის მიქცეული, ის კიდეც კარგად იციან მათ. რომელ საგნებზედაც მცირე გაკვეთილებია და ყურადღებაც ნაკლებად არის მიქცეული, ეს საგნები, რასაკვირველია, ნაკლებად ეცოდინებათ სემინარიელებს. მაინც და მაინც არც ის არის სახეში მისაღები, რომ სემინარიელებმა საეკკლესიო წიგნების კითხვა და საღმრთო მსახურების ტიპიკონი კარგად არ იციან. ძირად იქნება ისეთი სემინარიელი, რომელმაც საეკკლესიო წიგნების კითხვა არ იცოდეს ცოტათა მაინც და რაც შეეხება ტიპიკონის ცოდნას, ამას ყველა პრაკტიკულად მალე შეისწავლის, თუ ცოტა მუყაითობა იხმარა.

იმერეთის ეპარქიის საპეტიდელოებების კრება ქ. ქუთაისში.

წარსული წლის დეკემბრის 18 და 19 რიცხვებში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებს რიგი კრება ჰქონდათ ქალაქს ქუთაისში. პირველ დღესვე კრების გახსნისთვის საკმაო რიცხვი დეპუტატებისა შეიკრიბა. აპ კრებაზე აღარ მოსულან ლეჩხუმის მაზრის და სვანეთის სამღვდელოების დეპუტატები, რადგან ეს ადგილები ეხლა ზუერია სამეგრელოს ეპარქიის ეკუთვნიან. ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოებამ წინეთ, როგორც ამბობდნენ, სთხოვა უმაღლეს მთავრობას იმერეთის ეპარქიაში შერიცხვა, მაგრამ ბოლოს, როდესაც უმაღლეს სასულიერო მართველობამ შეეკითხა მათ ამის თაობაზე, თითქმის ყველამ უარი განაცხადა იმერეთის ეპარქიაში გადმორიცხვაზე.

კრებამ თავის თავს-მჯდომარედ აირჩია ბლაღოჩინი მღვდელი ისაკი მაჭარაძე და საქმის მწარმოებლად მღვდელი დ. რაჭინიშვილი. 18 დეკემბერს, საღამოს ხუთ საათზე კრება შეუდგა მასდამი შესახებ საგნების განხილვას. პირველი საკანი, რომელიც კრებას მიეცა განხილულად, იყო სასწავლებლის 1887 წლის ხარჯთა-აღრიცხვა და წარსული წელ ში მოხდენილი ხარჯის განხილვა და შემოწმება. წარსული წლის ხარჯის აუგარი მა განიხილა კრებამ და არაფერი არ განუცხადებია მასზე თავის მხრით, ისე მიიღო. ეს ანგარიში დაბეჭდილი დაერიგა სამღვდელოების დეპუტატებს და „მწყემსი“-ს 35 და 36 ნომრებშიდაც იყო დაბეჭდილი. ჩვენ ამ ანგარიშზე სტატეას ვიტოვებთ მერმისთვის და ეხლა კრების მსჯელობის საქმეს მოუთხრობთ მკითხველებს.

1887 წლის ხარჯთა-აღრიცხვის განხილვის საქმემ კრებაზე დიდი ბაასი გამოიწვია. იმერეთის სამღვდელოებისაგან სასწავლებლის შესანახავად შემოდის ყოველ წლობით ათი ათასი მანეთი და სასწავლებელს კი ყოველ წლობით სჭირდება ხარჯი ცამეტი ათას მანეთზე მეტი. ბასაკალი ყოველთვის მეტია შემოსავალზე. რომელი შემოსავლითი იფარება ეს მეტი ბასაკალი? ეს მეტი ხარჯი იფარება შემდეგი ფულებით. 1872 წელში სამღვდელოების ერთ შეკრებილებზე გადაწყდა, რომ ბასაკიდული წმინდა სანთლის მონაგები ფულიდგან იქნეს კომფაზე შემოტანილი 25 კ. ყველა ეკკლესიებიდგან სასწავლებლის შესანახავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფულებსა ნადგენათი ათას მანეთზე მეტი. შეიწერეს მდიდარ ეკლესიებს გადასახადი მთ შემოსავალი ფულების რაოდენობისა მერმ. საეკლესიო ეფანიან მიწებზე ქცევაზე დაუწესეს გადასახადი ათი შაური, სახნავ და ტყიანზე ორი აბაზი. ამასთან გარდასწყეტეს, რომ ეკლესიის კრულების ფულებიდან თითო მანეთზე სასწავლებლის შესანახავად იხმარონ ათი კაპიკი. ეს ფული ფულები თითოზეტი ათას მანეთამდე შადგენდა, თუ ამას დაუმატებთ გაყიდული ეკლესიანების და შენდობის ფურცლებისაგან შემოსული ფული. ძრებამ გადაწყეტა, რომ ამ ფულები დამდგარულიყო მოთხოვნილი ხარჯი სასწავლებლისა და რაც გადარჩებოდა, სასულიერო სამინარიის დასაარსებლად გადადებულიყო. უკანასკნელ წლებშიც ამრიგად ესე იქცეოდნენ. ბანსეფენეფაული ასათანის დროს ეს გადადებული ფულები ო�o ათას მანეთამდე ირიცხებოდა. მე ეგონენ, ახლოსაა კიდეც ზოგიერთებს, რომ ეს ოcio ათასი მანეთი ასათანის გამეჩინახოსას და კარგად ეკონომიური ანგარიშის წაყვანას მიაწერეს!.. სემინარიისთვის გადადებულ ფულებს ახმარებდენ, როდესაც სასწავლებლის ხარჯი იმატებდა და შესაფალი ეი ნაკლები იყო; დღემდისინ ამ გადადებული ფულითი ეფარება ყველა ასეთი ხარჯები. არ მოხდება არასოდეს კრება, რომ ჯამგირის მომატება ან ნუკეზე ანალი ითხოვოს. 1884 წელში ამ ფულებიდამ თავს-მყდარ. მარის წყალობით ბევრს ჯამგირებიც მოემატა და სამუშაურებიც მიეცა. დეპუტატების ადგილად დაათანხმებდით ყოველივე მომატებაზე, Oup ეტყოდით, რომ თქენ ამ გადასახადზე არაფერი მოგემატებათ, რომელსაც ადეს ინდითო. ისინეც იძახოდენ: თუ გადასახადზე არაფერი მოგემატება, თუნდაც ათასათასი მანეთი მოგმატეთ და სამუშაურებიც მიეცითო. ბევრნი ეცა ამ ოცი-ათასმა მანეთმა, რომ თორმეტი ათას მანეთზე ჩამოეკეთა ადეს.

სამეფოლოგებას ამ კრებაზე, სხვათა შორის, მიეცა წინადადება სასწავლებლის მოწყობეთათვის საკუთარი ეკლესიის აშენებაზე, რომელზედაც თუთხმეტი ათასი მანეთი ითხოვებოდა. სამეფოლოგებამ, ნოდმინეცდამ გაბოსლეს, აღარ დაგადაწყეტა სასწავლებლის საკუთარი ეკლესიის ასაშენებლად ხმა-ერეული ექნეს სემინარიისთვის გარდადებული თორმეტი ათასი მანეთი და სამი ათასი მანეთი დაუნაწილა ამ ფულებიდამ, რომელიც უნდა შემოსულიყო სასწავლებელს სამეფოლოგებისაგან წარსული წლებში და ადესეე შემოუტანელია.

სემინარიისთვის გადადებულ ფულებს მისცა კრებამ კარგი დანაშაულება. ეამმოპკარგი დანაშაულება-თქო მტომ, რომ ბევრის წილათ უმეტესია სასწავლებელს თავი-ი საკუთარი ეკლესია ჰქონდეს, ეინემ თორმეტი ათასი მანეთი ძველი ეკლესიის გადაკეთებაზე დახარჯოს ეაკაბ, როგორც ამას ითხოვდენ წინეთ.

როდესაც კრებამ გასინჯა კარგად სასწავლებლის ხარჯი, დაინახა, რომ მარტო მოსამზადებელი კლასების შენახვა უფროდეს სამეფოლოგებისას შეიდი ათას მანეთზე მეტი. ეს ხარჯი გამოწეეფული მისგან, რომ მშობლები სრულებით არ ზრუნავენ თავიანთი შვილები სახლშიე მოამზადონ სასწავლებლის პირველ კლასისათვის, ან მეორე მოსამზადებელი კლასისათვის ბაინ-ეა. ეაკენა ეინმეს გეკითხოს: ,,როგორ მოამზადოს თავის შვილი იმ მეცადელმა, რომელიც სასწავლებელში სრულებით არ ყოფილა?" საქმით დამტკიცდა, რომ ზოგიერთი უსწავლელი მეცადლები კი ამზადებენ თავიანთ შვილებს სასწავლებლის პირველი კლასისათვის, ან მეორე მოსამზადებელისათვის და სემინარიაში ნასწავლი მეცადლები სრულებით არ ამზადებენ თავიანთ შვილებს და ამიტომ პირ-და-პირ პირველ მოსამზადებელ კლასში შეჭყავენ. სამეფოლოგების კრებას მიეცა სამი წინადადება მოსამზადებელი კლასების შესახებ. ამ სამ წინადადებაში ერთ-ერთი უნდა აიჩრნა. ან ორი ათასს ექვსასი მანეთი ფულის წყარო უნდა გამოეფანათ, ან უნდა გიეწერათ კიდევ გადასახადათ ეს ორი ათას ექვსასი მანეთი; ან დაეფრთათ სამი პარალელური მოსამზადებელი კლასი, ან დაეყენათ მომეტებული გარდასახადი მოსამზადებელ კლასებში მეოფი შეგირდების მწობლებისათვის. ამაზე ბევრი ბაასი იყო. ეხლი გარდასახადის მომატებაზე სამეფოლოგების კრება არას გეზთ არ თანხმდებოდა. არ დათანხმდებოდა ჯგრეფეი მოსამზადებელი კლასების დახურვაზე. მეტ ღონე არ იყო, ეს გადასახადი უნდა მოემატებინთ მოსამზადებელ კლასებში მეოფი შეგირდების მწობლებისათვის. ძრთ ხმათ გადაწყეტეს, რომ მოსამზადებელ კლასში მეოფ შეგირდებს გარდასახდეენონ თითო თუმანი წელიწადში მომეტებული ხარჯის დასაფარავად. ამ გარდაწყეტილებასაც ან ერთ ფეუტატს წინააღმდეგი ანარი არ ეტუხდებინა და ყველამ ამ განჩინებას ხელი მოაწერა.

1887 წლის ხარჯთა აღრიცხვით მომეტებული ჯამგირი ითხოვებოდა შეგირდების ყურის მგდებლებისთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეის (ნადზირატლებისათვის), მაგრამ კრუბამ მათ ჯამაგირი არ მიუმატა, რადგან იმ ჯამაგირზედაც მოვალეთ მთხოვნელები უადგილობისა გამო და მთავრობისაგან დანიშნული ჯამაგირი საქართველოში დაინახა.

შეშის ხარჯვაც კარგა დიდი ბაასი გამოიწვია კრუბაში. სასწავლებლის მართველობამ განაცხადა, რომ სასწავლებელს შეშა უნდება ოცდა ათი საკენი წელიწადში. ეროვლად შეუძლებელია, რომ რიგიანად დაწყობილი და კარგი შეშა ოცდა ათი საკენი მოუნდეს წელიწადში სასწავლებელს. იმისთანა ნელი თხმელის შეშა კი, როგორიც ეკონომს ეყოფა წრეულს, სწორედ არ ეყმარება არც სამოცი საკენი. ჩვენის აზრით შეშა უნდა იყოს ეჯერობით გაცემული და მის დამზადებას კაცი უნდა შეუდგეს ადრე და არა მაშინ, როდესაც შემოდგომა თავდება.

მკირე ხარჯის მოკლებით ამა წლის ხარჯთაღრიცხვა კრუბამ მიიღო და დამტკიცა.

(გაგრძელება იქნება).

მცხეთის ტაძარი.

(დასასრული *)

მცხეთის ტაძარს ქართველები უწოდებენ სვეტი ცხოველს. ასეთი სახელი უწოდებიათ ამ ტაძრისათვის იმიტომ რომ, როგორც თქმულობა არის, იმ ადგილს, სადაც დამარხული იყო კვართი უფლისა, რომელიც მოიტანა იერუსალიმიდან ერთმა მცხეთელმა ურიამ, იყო ერთი ხე, რომლისაგან, როგორც ამბობენ, გამოდიოდა მირონი. ბარეგანი შეხედულობა მცხეთის ტაძრისა მეტად მშვენიერია. მცხეთის ტაძარი ალავერდის ტაძართან შედარებით უფრო დიდი. ნაშენებია მშვენიერად: გუმბათი აქვს მაღალი და მშვენიერი; ტაძრის თაღი დახატულია ბევრი სხვა-დასხვა სურათებით. შესავალი კარის ბჭესთან შემოსელები ხეადაკ ელახერის ლეონის მშობელის, რომელიც კედელზე საუცხოოდ არი გამოხატული. ეკლესიის სიერცე კანკელამდის არის 30 საკენი. ტაძარის თაღი დამყარებულია სამ სვეტზე. ტაძარში შესელის დროს კაცს აუცილებლად ის ეჩვენება დიდი ხატი მაცხოვრისა. სალართო სვეტი დგას მარჯვენე მხარეს ცალკე და შემოზღუდულია მოაჯრით. ეს ეთონ სვეტი, რომელიც გაკეთებულია კვართის ზემო, შემოზღუდულია ოთხ კედლით, რომელიც ზემოთ დახურული არიან. ამ სვეტის კედლებზე გამოხატულია უბრალო ხალებვეთი, სხვითა ზორის, დაზრმავება მეფე მირიანისა, რომელიც შეემთხვა მას მთაზე და ანგელოზის მიერ სვეტის აღება; გარდა ამისა, აქ დახატულია ანტიოქიის პატრიარქი �ატე, რომელიც აძლევს სახარებას მირიანს; აქვე გამოხატული ამ პატრიარქისაგან მცხეთის ტაძრის კურთხევა. ეს ის ъატე არის, რომელიც, საქართველოს ეკლესიის გადმოცემით, იყო გამოგზავნილი ქონსტანტინე დიდისაგან, რათა ნათელი ეცა მირიანისთვის. ხის კანკელი, რომელიც ამაღლებულია ეკლესიაში და რომელიც მორთულია ჩუქურთმებით, გაკეთებულია მეფე ირაკლისაგან. ბასაკერელია საკურთხეველის მოწყობილობა: კანკელი ცოტა მოშორებულია კედელზე ასე, რომ ხალხს შეუძლია ყური ადგენის საკურთხეველში ლეთის-მსახურებას. საეფლო ადგილი დაცულია თავის ღირსებისა მეგრ. მას აქვს სამი საფეხური: პირველი საფეხური გაკეთებულია საკურთხეველის გარეშემო და დანიშნულია მღვდლებისთვის, მეორე დანიშნულია ეპისკოპოსებისათვის, ხალო ზემო დანიშნული ყოფილა ქათალიკოსისათვის.

მცხეთის ტაძარში, საკურთხეველში და მის გარშემო ძალიან ცოტა მხატვრობაა არის დარჩენილი. კედლის მხატვრობაში ყველაზე შესანიშნაენი არიან საქართველოს მეფეები თავიანთ საგვარტომო ტანთ ჩაცმულნი დახატულნი. აქარიან დახატულნი ირაკლი, რომელიც კუთხეეეს ლეზეოლს; დედოფალი მარიამ, მეფეული მუხამმედანსკის მეფის როსტომისა, რომელიც გარს უელის ტაძრის გუმბათს და ძე მისი ლუარსაბი, რომელიც ახლო გზხდობაში მოაკლეს ნადირობის დროს. ამ ტაძარში არის საქართველოს მრავალ მეფეთა სასფლაოები. აქ დღესაც უჩენენენენ ერთ ადგილს, რომელიც ეკუთნოდა სასანდების შთამომავლობას და სადაც დასაფლავებული არის ბახტანგ ზორკასლარი. ეს სასფლაო არის ცოტა მოშორებით სამეფოო ადგილიდან, სვეტის მახლობლად. ბაგრატოვნების გვარეულობანი, რომელიც გაჩნდენ დასავლეთ-საქართველოში, ივარხებოდნენ სათათრეთს საქართველოს, ბინგრელთან ან ივერეთის სხვა-დასხვა ტაძრებში. შემდეგის დროის მეფეების სიაში,

*) იხ. „ეროვნული“-ს 1-ელი ნომერი 1887 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც დასთლეულებულნი არიან მცხეთის ტაძარში ბოირგი VI შემდეგ ჩამოთვლილია მთელი დასი მეფეებისა. ტაძრის უკანასკნელმა მშენებელმა XV საუკუნეში გააკეთა საკუთარი სტოიკ ეკლესიისა, რომელიც სხვა სტოიკებთან ერთად დანაგრეგი საქართველოს ეგზარხოსის მეკენოსის დროს, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის მბილინში მობრძანების წინად. ეს სტოიკები მოაშორეს ტაძარს მხოლოდ იმისთვის, რომ ტაძრისთვის უფრო შნო მიეცათ. აქ განსაცვენდენენ საქართველოს ორი უკანასკნელი მეფეები ირაკლი II და ბოირგი XII. საქართველოს ქათალიკოსებში, რომელნიც დამარხულნი არიან მცხეთის ტაძარში, ეიცოთ მარტო: ეიმენენი II, რომელიც გარდაეცალა ათას ექვსას სამოცდა თექვსმეტ წ., და ბესარიონი, რომელიც გარდაეცალა ათას შვიდას ოცდა თოთხმეტ წ. და გამოჩენილი ანტონ I, ძე მოუსმენდანელი მეფის იესესი, რომელიც გადაეცალა 1788 წ. ფლეს მცხეთის ტაძარში მიცვალებულების დამარხვა შეეძლოთ მხოლოდ მათ, რომელნიც ეკუთვნიან ჩვენი უწინდელი მეფეების გვარეულობათა ე. ი. საქართველოს თავიდან და მუხრანსკენს.

ზემოთ მოვიხსენიეთ ჩვენ, რომ ეხლანდელი მცხეთის ტაძარი არ არის ძველი შენობა, ამაში ყველაზე უფრო გვარწმუნებენ სიგელები და მცხეთის ტაძრის წარწერანი. სიგელი, რომელზედაც აღნიშნულია 128 (1440) წ., 23 ინდიკტიონით, როცა მეფობდა ალექსანდრე, ნამდვილად გვარწმუნებს, რომ მთავარს საქართველოს თავ დასხმის დროს მცხეთის პირველი ტაძარი სხვა ტაძრებთან ერთად მთლად დაქცეულ იქმნენ. მცხეთის ტაძრის კედლებზე და ხატებზე ბევრი წარწერანი არიან და უკანასკნელი წარწერა ეკუთვნის XVI საუკუნის პირველ ნახევრის. ამ წარწერაში მოხსენებულია, რომ ქათალიკოსმა მელქისედეკმა ააშენა სამლოცველო ეგზეტერი, რომელიც დასაღვეთის ბჭრით უერთდებოდა ტაძრის გალავანს, მაგრამ დღეს ეს სამლოცველო დანგრეულია. სხვა წარწერილობებიდამაც ეტყვიათ, რომ 1685 წ. ქათალიკოს ეზეკეიეზენი ჭლუდ, ხოლო 1784 წ. წარწერა გვიჩვენებს, რომ ტაძარი განუახლენია ირაკლი მეორეს. წარწერა, რომელიც მთელი გუმბათის გარშემო არის, გვიმტკიცებს, რომ ამ ტაძრის გუმბათი, რომელიც ჩამონგრეულია 1656 წ., განუახლენია მეფე როსტომს და მის მეფულა მარიამს. ბარდა ამისა ერთი ხატის ზედ წარწერა გვიმტკიცებს, რომ მცხეთის ტაძარი, რომელიც დანგრეულ იქმნა XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბაზის დროს, განუახლენია აუფხაზეთის ქათალიკოს მაკარის, მის შემდეგ XVII საუკუნის დაბოლოს განუახლენია ეს ტაძარი მცხეთის ქათალიკოს ზუმერენ II-ეს. უეჭველია, რომ მცხეთის სობორიოს ჭქონდა და ზღესაც აქვს თავისი წიგნთ-საცავი, რომლის ხელ-ნაწერები ძალიან საინტერესონი იქნებიან. სამწუხაროდ, აკადემიკოსს ბროსსეს, რომელიც იყო მცხეთაში 1847 წ., არ გაუშინჯავს ეს ხელ-ნაწერები, რადგან დაიმედებული იყო იოსელიანისაგან, რომელიც შეჰპირდა მას, რომ ის იმ ხელ-ნაწერებს გაარჩევდა. ბარჩეულნი ეს ხელ-ნაწერები თუ არა, დღესაც არ ეიცოთ. მაგრამ ყველაზედ შესანიშნავნი არიან მცხეთის ტაძრის სიგელები. ეს სიგელები, რიცხეთ 506, წარსული საუკუნის დაბოლოს შეუკრეფია, როგორც ეიცით, ანტონ ქათალიკოსს და მათგან შეუდგენია ერთი წიგნი და წარუდგენია ირაკლი II დასამტკიცებლად. ირაკლის შეუშინებია, რომ ეკკლესიას ამდენი ქონება რჩებოდა და მისი დამტკიცება გადადებია მეორე დროისთვის. ეს იყო იმ დროს, როცა ალა-ვერდი-ხანმა ათარა მბილისი. მაგრამ მბილისის პერსიელებისგან აოხრების დროს ეს სიგელები ხელ უხლებელნი დარჩენ. აკადემიკოსმა ბროსსემ კანონიდა ეს სიგელები და ზოგიერთი მათი შინაარსი გააცო სახოგადოებას. ამ სიგელებში ყველაზე უძველესია მეფე აჩრდილოელი ოქმი, რომელიც, სხვათა შორის, შეიცავს ცნობებს, თუ რა დამოკიდებულობა არსებობდა საქართველოს ერთობის დროს ეპისკოპოსების შორის. მაგრამ ამ ოქმმე არ არის ქორონიკონი და ამიტომ ძნელი წესტყობია, თუ რომელ დროს ეკუთვნის ის. შემდეგ ამისა არის სიგელი 1020 წ. ამ სიგელში ჩამოთვლილია ის მოძღვარი და უფროსი ქონებანი, რომელნიც შეუტანია მცხეთის საპატრიარქო ტაძრის სასარგებლოდ ქათალიკოსს მელქისედეკს აუფხაზეთის და ძარლის მეფეს ბაგრატ IV დროს. მცხეთის ტაძარს განსაკუთრებით ბევრი სიგელები აქვს XIV XV და შემდეგი საუკუნეებისა. როგორც ბროსსე მოგვითხრობს, ეს სიგელები გვიჩვენებენ დროს, მეფეების და დედოფლების დასს მათი გვარეულობით, ქათალიკოსების, ეპისკოპოსების და მონასტრების წინამძღვრთა რიგს; არიან ბევრი შემთხვევანი, რომლებიც ეიცით მხოლოდ ამ სამუეთების წყალობით. ამ სამუეთებიდამ ეტყობილობთ, თუ რა მნიშვნელობა ჭქონდა სხვა-და-სხვა დროს მცხეთის და საზოგადოდ სამეფოდელობას; რა უფლება და შეძლება ჭქონია სამეფოდელობას. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგელები ჰფენენ სხივს საქართველოს ძველ ისტორიის და ხალხის შინაურ ცხოვრებას. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ სიგელებს საქართველოს ისტორიისათვის, ეს იქიდგან სჩანს, რომ XVIII საუკუნის დასწყისში მეფე მეხტანგ VI-ემ ვერ გაბედა „საქართველოს ცხოვრების“ გამოცემა, სანამ არ ვანახილა მცხეთის, ზედათის და სხვა სიგელები და მათი საშუალებით არ შეიტყო თავის გამოცემა. ზოგიერთი სიგელების შინაარსი მან მთლად შეიტანა „საქართველოს ცხოვრებაში“-ში, მაგალითი. სიგელი 1440 წ., რომელშიაც ალწერილია საქართველოს აოხრება თამერლანისაგან. თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს სიგელებს, მოვიყვანთ ცრმატებს მცხეთისსამი გუჯრისაგან: ოქმში 50 (1362) წ. მეფე ალექსანდრე უცხადებს ქთალიკოსს მასალს, რომ მაჭიეთის გამგებასა შინა მყოფნი ქართლში და ალბეთში, საათაბაგოში და სომხეთში, საბარატიანოშიდა თრიალეთის და აგრეთვე ბეერთში, ეალდებულნი არიან ეახლენენ ქთალიკოსს ჩიტაში და ნაგირობის დროს და თუ ქთალიკოსი არ იქნება, ისინი უნდა ემარჩილებოდნენ მის მოურავს, ზანაურებს და არა სხვა ეინმეს. ოქმში 1-8 (1440) წ. იგივე ალექსანდრე სწერს, რომ ის აყიდა ტახტზე 101 (1431) წ. (24 წლისა შობიდამ, როგორც სჩანს მეორე ოქმისაგან) და რადგან მას უმეტესლობისა გამო საშუალებათა, რომელთა შემწეობით შესძლებოდა ხელ-ახლად განეახლებინა დანგრეული ეკლესიები და აოხრებული ქვეყანა, დაადგა თეთოოეულ ოჯახს, 37 წლის განმავლობაში გადასახადად ხუთ-ხუთი კაპიკი. „ღუკს, სწერს მეფე, მე მოვსვე ეს გადასახადი და ნუ რას დროს ნუ იქნება ეს ზომა ხმარებული ჩემი შეილების მეხტანგის, ზიმატრის და ბეორგისაგან.“ ოქმში 130 (1442) წ., თავის მეფობის 30 ინდიქტიონში, ალექსანდრე ერთად თავის მეუღლეთან და შვილებთან მეხტანგთან, ზიმატრით, ბეორგით და ზაალითა, ქთალიკოსს შეიოს თხოვნით, უფიმობს მცხეთის ტაძარს ცოხეს და ეკლესიასს სახელადარმაზს და მასთან აძლევს მას ნებას, რომ თავის საქთალიკოსო საკრებულო ტაძრის სასარგებლოდ ცხეინს ყოველ საპარეზეზე გადაახდეინოს ხუთ-ხუთი კაპიკი ჩალეანდრეს საქართველოში შემოსულელთა, ან საქართველოდან პატიჯნის გზით მამავალთა.

ჯ ვ ა რ ი ვ ა ზ ი ს ა

I

ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჭეერავს,
ზღვა ქეხს და შეოთავს, ზღვა დეფს და
ფელავს,
ზვირთებს ზვირთებზე შავი ზღვა ისვრის,
განრისხებული ღრიალებს, ჭეკირის,
ტალღა ქუხილით ადიმარნეთება
და გრგვინით უსსერულს ეუ-ვარდება.
ზღვა მდუღარია მთლათ არ შავი,
არსად სჩანს აფრა, არსად სჩანს ნავი;
ან ზღვას მავალმა ვიღამ გაბედოს
მაშინ თვის ნავი მას უსსერულს ანდოს.
და თუ ბედს ენდო და თუ ბედი სწამს,
ბედი ვერ იხსნის, უსსერული სჩანთქამს...
მაგრამ გამოჩნდა ნავი დასავლით!
მორბის უშიშრათ, მორბის დეფის ძალით,
მოეშერება, მოჭეერინავს, მოჭქერის,
ზვირთ განრისხებულთ გულ-ამაყად სწერის.
აფრა გაგლიეკონ ქარნი ცდილობენენ,
ზომალღი ფანსთან ზვირთნი ცილობენენ,
განრისხებულნი ბარს ეხვევიან,
ქუხილით გრგვინვით, ეუკანეიან;
მდეფარე ტალღა ეუე იქცევა,
და ღრიალითა კვლავ მიესევა,
ზღვა ებრძვის ნავსა, ქარი აფრასა!
ზღვა დასძლევს ნავსა, თუ ნავი ზღვასა?
არა, ზომალღი ზვირთ არც კი ეპვრძვის,
შეურეველი მოჭეერინავს, მოჭქერის:
სჩანს ზეცით აძეეს მას დიდი ვალი,
სჩანს მაზედ არის ზეცით ფეფოის თვალი!
მაგრამ გამოჩნდა შორით ნაშირი,
მოჭქერის ზომალღი შეუშოვარი.
ზღვამ მოუტანა თვის მრისხანეა
უბსერულს მის ჩანთქმა მას ესფრაფება;
ტალღა და ზვირთნი მთებივით ალსდგენენ
და ნავის გვერდებს მრისხანენ სცემენ;
აფრასა ჭეერავს ქარი ძლიერად,
მიჭქერილავს ნავი შეუშოვარად,
მიჭქერილავს, მირბის; კენესის ზღვა შავი.
ბოლოიდის კიდეს მიჭეერინდა ნავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ნავით გადმოხტა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება;
არის ასული, მაგრამ არის სიზმარს ზამანეს:
ნათელი, ტურფა, ვით ოცნება მშვენიერია,
მაგრამ ნათელს ვირს სოფელს შვება არ ეფერია.

ამ სოფლის გრძნობა არ აღელვებს მის წმინდა გულსა;
ის არ ეკუთვნის არც აწმყოსა არც დროს წასულსა;
ეკუთვნის მხოლოდ მომავალსა წმიდა ასული
მხოლოდ ცისა და კეთილისთვის მას უჭერს გული.

მაღალ შეგლზე აქვს აღაეფდილი მის მადლი ფეოისა,
ნათელს თვალებში მას უბრქყინავს ნათელი ცისა,
გულის სიკეთე და სიმშვიდე, ზეშეარიტება,
ამა სოფლისა მოლოდინი და ნეტარება.

მიდის ასული, ხელს უპერია ჯვარი ვაზისა;
არ ეშინიან შიმშილისა, არც უგზო გზისა;
ვერ აბრკოლებენ მას ზღაბნი, ვერცა მდინარნი,
ვერც ფრიალონი, უსსრულნი და მთანი მყინვარნი;

არ ეშინიან წყმებისა, არცა სიკვდილისა,
დედა-წმიდისა წილხდომილათ ქვეყანას მიდის;

III

ვინ ხარ ასული? სით მოხვედი? რა აზრი მოგაქვს?
რაც ხელს გიპერია, მნიშვნელობა, გვიდხარი რა აქვს?

ივერის ერნნო! უამბორეთ წმინდის ფეხთ მტვერსა,
თქვენში ადაგრძნეს ქრისტეს ნათლის წმინდა ლამპარსა;
არა! ვერ იგრძნო წმინდის სიტყვა ერმა ველურმა,
არ განაცხოვლა მისი გული, სიტყვამ ციურმა,
წმინდამ ცრემლითა ცას მიმართა, ხელნი შეჭყარა,
ერი ველური, კერპთ მსახური ღმერთს შეავედრა.

IV

იელა ცამან, იწყეს ცამან,
ყვნესით ხმა მისცა დაბლა ქვეყანამ;
შეირყა მიწა, შეირყა ზენა,
ბნელმა მოიცო ცა და ქვეყანა...
ადსდგა გრგვინვითა მრიხანე ქარი,
აენთო ცეცხლით ბნელი ცისკარი,
შეუსვენებლად, ცა სწყეს და ელავს.
ჰაერი ცეცხლით და ალით ელავს;
სიტყვა და მეხი მიწის ვირს სცემენ,
მრიხანე ქარნი ხეთ ძირით ჭყლეეკენ,
ცეცხლის ისართა ცა მიწას ესვრის,
ირყევა მიწა, ბენება კვნესის...
ცამ მოიკრიფა, რაც ჭქონდა ძალი,
და მიწას დასცა ცეცხლი და ალი...
მთანი და ბარნი დასქედნენ, დაირღვენ
კერპთ-მსახურთ ღმერთნი, ქვესკნელს ჩაინთქნენ...

თვის მრიხანეა ცამ შეაყენა,
მზემ ეზვის სხივით მოირთო ქვეყანა,
წმიდის ფერხთ წინა დაემხო ერი,
წმიდამ მას ჯვარით დასწყრა ჯვარი!

IV

ჩვენო სამშობლო, მშვენიერო, მაშინ შენზედა
მადლი ზეცისა, მადლი ხვთისა ზე გარდმოვიდა,
წმიდა ასული წმიდა ნინო ცამ მოგვავლინა,
ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივით მან შენ მოგფინა.

მიხვდნენ დიდ მცნებას ძენი შენნი ერი ველური,
მიხვდნენ რაც არის, დიდი სიტყვა, სიტყვა ციური:
ქვეყნად მშვიდობა და კაცთ ჭქონდეთ გულს სათნოება,
ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება.
სადაც სწორავდნენ კაცთა მსხვერშლათა,
კერპთ და ბომონთ ჯარს
იქ ისმა მადლა გალობის ხმა: «წმინდა, წმინდა არს»;
მოისმა მაღლად დიდებული, სამღთო ხმა ზართა,
მადლა შესძახეს მას ხეობათ, მთათა და პართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადიდეთ შენობანი მთლადვ მოიცვეს მთანი და ბარნი,
ამენდნენ, აღსდგენენ დიდებულნი წმიდა ტაძარნი;
ელლინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელნი
შთამოიდვარა და განათლდა გონენი ბნელნი,
დაშენდა, დაუტკბა, შემოშვდა ენა ოვერთა;
ადეოსაც კი გვიტკბოს მათ დროთ ენა ამ-ერთ-იმერთა.
მაგრამ რათ გვინდა მის ამბავი, რაც არს ადარა?
რაც თვალ-წინა გვაქვს გულ-საკვდავად ისიცა ვმარა.
დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი
სადღა არიან ადარ არიან,
მათ დიდი შენობანი, დიდ ნანგრევნი,
ჩვენ თვალ წინ ბორკვე, ტიელათ ჭურიან
მგზავრი მოსული, უცხოს ქვეყნითა,
დადის მათ შუა, უკვალოთ გზითა.
ჩვენს ისტორიის მათში ეძიებს,
მაგრამ ვერა რას, ვერა რას ჭვოვებს!
რაც წარწყრილნი მათზედ ყოფილან,
ისინიც დროთაგან მთლათ აღმოფხვრილან;
მხოლოდ ჩვენ გვესმის მათ უმბო ენა,
ოვერიის ძეს ეუკვრს მათ სმენა.
ჩვენს გულს უმბონიც ბევრს უამბობენ
რაც რომ ყოფილან, მაზედ უბნობენ,
მაშა მტრის ხელსა არა რა მორჩა?
არა საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა:
ჯვარი იმ ვაზის; მადლი ის ჯვარის
ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის!

ვ. ო.

შ ე ს ხ ვ ა,

თქმული ბლაგ. მდგელის მ. სამსონ ჭილაძისაგან სოფლის ნორისის ნაღლის-მცემლის ეკლესიაში 21 ნოემბერს, 1886 წ., ამავე სოფელში ახლად განწესებულის მასწავლებლის ელისაბედ გიორგის ასულის ქორთველოვანისადმი.

ღვეს ჩვენ ყველანი დიდის სიხარულით ვეგებებით თქვენს მობრძანებას, ელისაბედ ბიორგის ასულო! სიხარულით ვეგებებით თქვენს მობრძანებას იმიტომ, რომ სანამ თქვენ ჩვენი სოფლის სკოლის მასწავლებლად დანიშნებოდით, ბევრი კარგი ხმები გაგვიგონია თქვენზე. მაგალითად, რომ თქვენ, სადაც კი გიმსახურნიათ მასწავლებლად, ყველგან დაგიმსახურიათ სიყვარული როგორც თქვენი თანამოსამსახურეებისა და მოსწავლეებისა, აგრეთვე იმა საზოგადოებისა, რომელშიაც კი გიმსახურნიათ. ესეი სიტყვენი, თქვენი წარსული სამსახური ვგარწმუნებს ჩვენ, რომ თქვენ წესიერად და სინდისიერად წაიყვანთ საქმეს თქვენდამი ახლად რწმუნებული ნორისის სოფლის სკოლაშიაც. იმედი გვაქვს, რომ თქვენ ისეთივე გულსა-მოდგენილ-ბით შეუდგებით სწავლების საქმეს ამ ჩვენ მცირე სასწავლებელშიაც, როგორის ბეგრითობით იღებოდით მასწავლებლობის ასპარეზზე ქ. ობილისში. მართალია, თქვენ ამ გეძნებათ საქმე ვაუზოთ ბევრი საზოგადოებასთან, მაგრამ ეს საზოგადოებაც დაიკუსებს თქვენს მოქმედებას და ყოველივე თქვენი მოთხოვნილების აღმსრულებელი იქნება. თქვენი წინა-მოადგილეც ბეერსა შრომობდენ ამ სასწავლებელზე და ბევრი ვაკეთეს. ბევრი იშრომა ამ სკოლისთვის პატივცემულმა ღეკანოზმა მ. ალექსანდრე მანსეტოვმა, რომელსაც ეკუთვნის ამ სკოლის დაარსება. სკოლ ის გაჩნინა ბევ. ღეგაც დიდი შრომა გასწია სკოლაზე მ. მანსეტოვმა; ის ბევრი ეცადა, რომ სკოლის მასწავლებელს შესაფერი ჯამაგირი ჭქონებოდა დანიშნული. ღღეს მ. მანსეტოვი თუმცა ჩვენგან დაშორებულია, მაგრამ არც ეწლა აკლებს ჩვენს სკოლას და ეკკლესიებს თავის ყურადღებას. მ. მანსეტოვის შემდეგ დიდი შრომა გასწიეს სკოლაზე მისმა მოადგილეებმა, რომელთა შორის ყველაზე შესანიშნავი არის ნიკოლოზ ბ. ჯაჯანაძე, რომელიც სინდისიანად ასრულებდა თავის მოვალეობას და მშვენიერი განწყობილება ჭქონდა როგორც თავის თანამოსამსახურეებთან და მოსწავლეებთან, აგრეთვე ჩვენს საზოგადოებასთან. ბევრი იღვაწეს ამ სკოლისათვის ზემოდ მოხსენებულმა პირებმა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და იმედია, რომ დანარჩენს თქვენ შესრულებთ. ამ საქმეში თქვენ დიდი მხნეობა, მოთმინება და სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ. ჩვენც, როგორც თქვენი თანამოსამსახურე, ეცადეთ, რომ ისეთივე შემწეობა აღმოგიჩინოთ თქვენც, როგორ შემწეობასაც უფენდით თქვენ წინა-მოადგილეებსაც. ამ ნაირი შეერთებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალით, იმედია, წინ წაიწევს ჩვენი სკოლის საქმე, რომელმაც უნდა მოიგონოს განათლება ჩვენს საზოგადოებას.

ნორჩისის სკოლის საგმრთო სჯულის მასწავლებელი ბალაგ. მღვდელი სამსონ ჭილაევი.

როდის მიიღეს კოლხეთა იესო ქრისტეს სარწმუნოება და პირველად ვინ დაარგო იგი სარწმუნოება მათ ქვეყანაში.

თხზულება მ. დონ-ყოზეფ-მარი-ზამბელისა. *)

(ფრანგულიდამ).

ტარანოტის ჰაბრი, V-ოე წიგნში მისი ისტორიისა, რომ კოლხებმა და სომხებმა ერთ დროს მიიღეს ქრისტიანობა იული პაპის და კონსტანტინე იმპერატორის დროსაო, არ არის სარწმუნო, რადგან სომხებმა მიიღეს სარწმუნოება მაშინ, როდესაც მნათობლობდა ბრიგორი, ეპისკოპოზი ეთიოპიელ სომეთისა, ტრიდატ მეფის და კონსტანტინე იმპერატორის დროს.

ბარონიუსში ეკითხულობთ: კოლხები მარად წმიდად იყავდნენ თავის სარწმუნოებას, გარნა როდესაც ისწავლეს მათ ბერძენთ წესები წ.წ. ალრილე და მეთოდისგან, რომელნიც გაგზავნა მათში მიხელ იმპერატორმა, და როდესაც შეეერთდნენ საბერძენეთის საპატრიარქოს, მაშინ იგინიც მათთანვე ერთად შთაეცეიდნენ უმეცრებაში. იგინი მაინც ისევე მტკიცედ იცავენ ქრისტიანობას, როგორც იცავდნენ დასაწყისში, თუმცა გარემოზღუდელ არიან ოსმალებით, საარსებით, მათრებით და ურიებით. ამიტომ, საარსეთის ყენენ, სურდა ძალიერი ლაშქრის შემწეობით იქულებულ ექმნა იგინი გამოეცვალათ სარწმუნოება, გარნა მათ ბუნებენ მეფის წინაშეძლოლობით, რომელი ისეთივე დიდი სარდალი იყო, როგორც კარგი ქრისტიანი, ისეთის სიმხნეეით იბრძოლეს რომ იმპერატორი იუსტინეს დახმარებით, ასლიეს საარსეთ.

პაიტონი, სომეხი, რომელი ცხოვრობდა 1282 წელს, ამბობს, რომ ეს ხალხი უფრო ადრეეს ხმლით ხელში გაწყვეტეს, სინამ მაჰმადიანობის მიღებასაო. რამეუფალი სწერს ამას ესე თვის ზღვით მოგზაურობათა წიგნში.....

ალბეთის დედოფალი ქეთევანი, დედა თეიმურაზ ხანისა, რომელმაც პირველად მისცა საეანე ჩვენ მამებს იმ ქვეყანაში, ჩვენ დროს იდიდა სიმტკიცით, რომელითაც დაითმინა მან წამება. ეს დედოფალი გაგზავნა თეიმაზ შვილმა საარსეთში შაჰ აბაზის დროს მასთან ზავის შესაკერელად, ხოლო ამ მარბაროსმა ჯერ სტანჯა იგი ძალიერად დიდის ხნის პატიმრობით და მერმე მოაკვლინა სასტიკ ტანჯვებში. მ.მ. აკუსტინიანებმა, (აგუსტინის ორდენის ბერები) რომელნიც სცხოვრობენ ისპანში, აღწერეს მისი დიდებული წამება.

ივანე თეიმურაზ ხანმა რამდენჯერმე იბრძოლა წინააღმდეგ საარსებისა, თვისი მტრებისა, ხოლო მერმე დაკარგა თვისი სამყოფო სარწმუნოებრივის ცოლობისთვის. ამ მეფეს ძალიერ უყვარდა ჩვენი მამები, რომელნიც თავის მხრივ ზღვნიდნენ მას ოქროს და ბრილიანტის სამკაულებს, რომ მას თან-და-თან უფრო მეტი ყურადღება მიეტქია მათი ინტერესებისთვის და აგრეთვე, რომ მადლობა გარდადებდათ მასთვის.

ქრისტეს, როდესაც იგი უკანასკნელ სარწმუნოებაზედ ჩვენ მ. დონ-ჟაკ-დე-ტეფუანისთან, რომელი ეტყოდა მას მოიკოქულებრიგის თავისუფლებით, ისე განრისხდა იგი, რომ ხმალზედ ხელი გაიკლო და სთქვა: თქვენ მეტად კერპნი ყოფილხართ, თქვენ და სხვა ფრანგნიც; მე ამ ხმლით ხელში დავიცავ ჩემ სარწმუნოებას ყველასაგან, ეინც კი მეტყვის, რომ იგი არ არის ჭეშმარიტი! საწყალი მ. სტეფანი იძულებული შეექმნა დაჩუმებულიყო.

---

*) იხ. „მწყემსი“ № 34, 1886 წ.

თავი II.

ალთალიკოზედ, რომელი არის თავი საპლეფალლოგისა.

რადგან ბიორგიანნი და იმერნი, როგორც შეეინაწნეთ, შეიქმნენ ბერძენთ აღსარების ქრისტიანნი, ამისთვის კათალიკოზის ალრჩევა დამოკიდებული იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძენთ იმ პატრიარხებისაგან, რომელნიც უფრო მახლობელნი იყვნენ გიორგიან-იმერთ მეფეზედ, და ქართველიკოზებს ჭრიშნადღენ ან კონსტანტინეპოლის ან ალექსანდრიის პატრიარხნი. ბარნა ეზდა ივარეთის მეფეს შეეზოლუალი ეფუღება აქეს ქართველიკოზთ ამოარჩევსა, და ჩვენ დროს მან დანიშნა ქართველიკოზად მრთელის ზიორგისა და ოდიშისა ერთი ბერი, რომელს ეწოდება ზენაფელი. ეს ხალხნი ქართველიკოზს ხზადიან თავიანთ უძველეს პატრიარზად და ალარაფერს უსმენენ ბერძენთ პატრიარხებს. ჩვენ ენახეთ ამის მაგალითი, როდესაც ოდიშის მთავარმა ლევან დადიანმა უბოძა წ. ბიორგის ეკლესია ჩვენ მ.მ.-ზს. ზოგიერთმა ბერძენთ ბერებმა, რომელნიც ამ ქეყანაში არიან, ძრიელ იწყინეს ეს და მ.ს.ზერეს ამაზედ კონსტანტინეპოლის პატრიარქ. პატრიარხმა წერილებით სამდურავი შემოუთვალა მთავარის და კათალიკოზს: თქვენ ფრანგებისთვის გბოძებიათ ეკლესია და ეს იმას ჰნიშნავს, რომ სიიდუმლოდ მათი ალარაება გსურთ მიღოთო; უბრძანებდა წერილმიათ იგი ეკლესია მათთვისა, წინაღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები ეკლესიიდან განვაყოფოთო. მაკრამ არც ერთმა და არც მეორემ ყურადღება არ მიაქციეს ამას. ამ გვარი წერილები მხოლოდ სიძულილს აძრიელებენ მათ შორის.

ამ კათალიკოზის განკარგულებას ეკუემდებარება ოდიში, იმერეთი, ბაკინა, აფხაზეთი და სვანეთი. მაგრამ საქართველოზ ეკლესია აარის ბიქვინტის ანდრია მოციქულის ანუ ყოველად წმიდა მარიამის ეკლესია, აფხაზეთის მახლობლად. ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ იგი.

გ. ბარნოკი.

(გაგრძელება იქნება).

ახალი ამბები და შენიშვნები.

ძლიერ სასიამოვნო ამბები მოგვდის ლეჩხუმის მაზრაში ახლად დანიშნულ უფროსზე ბ. ალ ...ზე. ეი რასა გვწერს კორრესპონდენტი: „მოკიდა თუ არა ჩვენს მაზრაში ახალი უფროსი ბ. ალ...ია, ის მაშინვე ენერგიულად შეუდგა მაზრის საქმეს. მოსელისთანავე ბ. უმფროსმა დიდი ყურადღება მიაქცია სკოლების საქმეს. ძველ საზოგადოებაში უსწავლა ხალხს სწავლა განათლების მნიშვნელობას და ურჩევს მათ, რომ სკოლები გახსნან. მან ფიცხელი ყურადღება მიაქცია სოფლის სასამართლოებს და მეცადინობს, რომ ამ სასამართლოებში საქმე სწარმოებდეს კანონიერად. ეჭვლამ იცის, თუ რა შეწუხებაში იყვნენ ლეჩხუმლები ხერეანი გზების უმეკონლობისა გამო, მაგრამ ამ საქმეშიც დიდ მეცადინეობას იჩენს ჩვენი მაზრის უმფროსი. ამ მხრით მისმა ცდამ ეხლაც იჩინა თავი. ამაგრეს გარდა ბ. ალ...ია მეცადინობს, რომ გასწმინდოს მისდამი რწმუნებული მაზრა ავაზაკი და ცუდი კაცებისაგან. ასეთი მოქმედება ჩვენი მაზრის უმფროსისა იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი მაზრა მოშველნი ეთნელ მდგომარეობას ეღირსება.“

რაღაა იმაზედ სასიამოვნო, ეიტყვით ჩვენ ჩვენის მხრით, როცა რომელიმე მაზრას ასეთი უმფროსი ეყოლება. მაზრის უმფროსზე ძლიერ ბევრი საქმეა დამოკიდებული და ღმერთმან მისცეს შეძლება ბ. ალ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელთა საუურადღებოდ.

(როდის უნდა გაიღოს სამეუფო კარები?)

საკურთხეველში შესვლა გარდა სამღვდელთ და საეკლესიო მოსამსახურეთა პირთა ყველას აკრძალული აქვს. აგრეთვე სამეუფო კარებიდან შესვლა საკურთხეველში აკრძალული აქვსო საეკლესიო მოსამსახურეთაც. სამეუფო კარებიდან საკურთხეველში შესვლა შეუძლიათ: მღვდელ-მთავარს, მღვდელს და მთავარ-დიაკონს, ისიც დანიშნულს დროს და არა ყოველთვის. სამეუფო კარები გაიღებინან ლეთის მსახურების დროს. რაც სამღვდელო პირი გამოდის საკვეკვლ, სახარებით და პარაკლის-ფეშვნეთით.

მწუხრზედ სამეუფო კარები გაიღებინან, როდესაც ღამისთევი სრულდება ცისკარი, ვინაიდგან დასაწყისშივე მღვდელმა უნდა ა

ბოლოს საკურთხეველში, აგრეთვე გარედ ეკლესიასნი. შემდეგ „აკათნისეული“ წაკითხვისა, ანუ გალობისა, სამეუფო კარები ისევ დაიხურებინან. შემდეგ გაიღებინან ეს კარები ი ბ დროს, რაც მღვდელი და მთავარ-დიაკონი საკვეკვეთ გამოვლენ „ნათელი მნათობელისა“ გალობის წინ. წარდგომის გალობის შემდეგ სამეუფო კარები ისევ დაიხურებინან.

ცისკარზე სამეუფო კარები დაბრეული „აქებდეთ“-ის გალობის დაწყებამდე და მაშინ კი გაიღებინან. ამ დროს მღვდელი აკრეკს ზეგანთ და ბერეო. რიდანაც სახარება გამოსვენდება საკურთხეველიდგან სამხრეეკენ, ესლაკლი კარები გაღებული რჩება სახარების შესვენებამდის.

ვნეკის ბერეო დიდ პარასკევს ღღეს თორმეტი სახარების წაკითხვის დროს ესლაკლი კარი უნდა იყოს გაღებული. ყოველთვის, როდესაც ან თორმეტი გადაიხდების, სახარების წაკითხვი, სამეუფო კარები გაღებულნი ირნან.

წირვაზედ სამეუფო კარები გაიღებინან სახარების და სამოციქულოს წაკითხვის დროს; სახარების წაკითხვის შემდეგ კი დაიხურებინან.

ადღდომის მოელ კვირაშედ ესლაკლი კარები სულ გაღებულნი უნდა იყვნენ. ახალ-კვირიდგან ამ�ეკლესიამდის ლიტურგიის დასაწყისის დროს „ქრისტე-ალსდგა მკვდრეთ“-ის გალობის გათავებამდე სამეუფო კარები გაღებული უნდა იყოს. პირველ შეწირულის წირვის შესრულების დროს სამეუფო კარები გაღებინან მცირე და დიდ შესვლის გარდა მეორე საწირნასწარმტეველის წაკითხვის შემდეგ. მეორე საწირნასწარმტეველის წაკითხვის შემდეგ მღვდელი გაიღებს სამეუფო კარებსა და ეტყვის ხალხსა: „ნეფილი ქრისტესი განგებათლეს ყოველთა.“

სამეუფო კარები უნდა იყოს გაღებულნი წულის კურთხევის დროს ნუთს იანგარს. სამეუფო კარები აგრეთვე უნდა იყოს გაღებულნი პარაკლისის გარდახდის დროს. სამეუფო კარები უნდა იყოს გაღებულნი გვიერგინის კურთხევის და გარდაცვალებულთა წესის აგების დროსაც.

შეკრულება.

ქაკალსიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გამარცელებელი სახოგადოების სასარგებლოდ შრომანის სამლაღოჩინო მახრაში შეიკრიბა ოცდა სამი მანეთი. ეს ფულები შემოწირეს:

მღვდლებმა: ბესარიონ გეკლესიანმა 1 მ.; ილარიონ ანთაძემ 80 კ.; თეოფილეკ ნინაკაშვილმა 80 კ.; რომანოზ ბოგრაკემ 80 კ.; დავით გეკლესიანმა 80 კ.; ლეონტი მაჭარაბანმა 80 კ.; ეფრემ გაზეზიანმა 60 კ.; დიმიტრი ანთაძემ 60 კ.; ნიკოლოზ ღამბაშაძემ 80 კ.; სამსონ ტაბატაშვილმა 80 კ.; ალექსი სალაქაია 80 კ.; ლუკა მაღრაძემ 1 მ.; სოლომონ ბეკულეკურიძემ 80 კ.; ანდრია ბერძენიძემ 80 კ.; მაკარი გაზეზიანმა 80 კ.; ივანე დეკანოზიანმა 80 კ.; სოლომონ მაღლაკელიძემ 80 კ.; ისაია ილარიონიანმა 80 კ.; ილარიონ მაჭაკიძემ 80 კ.; გიორგი მაჭაკიანმა 80 კ.; ილია ხუსეინიძემ 1 მ.; გეორგის ხუსეინიძემ 80 კ.; ფიალი ჭანარიშვილმა 60 კ.; ბრანტიანებმა: ოანიოზ ნიკასაძემ 30 კ.; ალექსანდრეულიძემ 20; მაქსიმე ოანაზაძემ 20 კ.; ზაზაიმე გაზეზიანმა 20 კ.; სიმონ კეკლუნაურიძემ 20 კ.; გიორგი ღამბაშაძემ 20 კ.; სერგეიონ ეიფაშაძემ 10 კ.; ანტონ კეკლუნაურიძემ 20 კ.; გრიგოლი გაზეზიანმა 20 კ.; ილიამ გეკლესიანმა 20 კ.; ტარიელ ანთაძემ 20 კ.; სოფრატ ამბარეკიძემ 20 კ.; ილია ბეკანაკიძემ 30 კ.; ლუარსაბ ილასაძემ 20 კ.; ეფრემ ალექსანდრეულიძემ 20 კ.; ოანიასმენ გოგრაკემ 20 კ.; სოფრატი ბეკულეკიანმა 20 კ.; თეიმურაზ შეკლანიძემ 50 კ.; გიგა ბაკურაძემ 15 კ.; დავაკოანმა ბეკლეკ ნინაკაშაძეს 14 კ.; და ვასილ ფეფაძემ 40 კ. სრულიად 23 მანეთი.

ამათანავე შეიკრიბა სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთაგან ზემოხსენებულსავე სამლაღოჩინო მახრაში ქორსის ალაბაშენმელად ხუთი 5 მანეთი და ერთი 1 კაპიკი.

ეს ფულები ჩვენგან დანიშნულებისამებრ გაიგზავნა.

შეცთომის გასწორება.

ამ თვეის „მწყემსი“-ს 1 №-ში, მეთორმეტე გვერდზე, ქუთაისის სასულიერო სახწავლებლის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ შემწირველთა პირთა შორის, შეცდომით არის ნათქვამი: ბლაღოჩინის მ. ფქვლაძისგან შემოვიდა 13 მ. უნდა იყოს: 29 მ. და ბლაღოჩინის ა. ფარანიძისგან შემოვიდა 13 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1887 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

„მწყემსზე“

და „მწყემსი-ს“ რუსულ დამატებაზე.

მაზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოკმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორიელო მართველობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქმნებაზ; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში საერ-ტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და სახოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილის ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საქმე კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

„მწყემსი“ რუსული დამატებით 1887 გამოვა სურათებით. ძალიან ლამაზად გამოცემა გამოვა სამ ჯერ თვეში და რუსული ორჯერ.

ფასი გამოცემისა.

მთელი წლისა გაგზავნით. . .	5 მან.
ნახევარი — — . . .	3 —

„მწყემსი“ რუსული გამოცემისთ:

მთელი წლის გაგზავნით . . .	6 მან.
ნახევარი — — . . .	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით	2 —

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლ აპარაება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში.

ბაჯეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით; Въ Квириле, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастырь). ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

ლედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მეხუთე გამოცემა, შეცვლილი და და შეცვლილი, დაბეჭდა და ისყიდება გამომცემელის გრიგორიოვის მაღაზიაში. ამ ახლის გამომცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია სწერი ლედანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი სავარჯიშოებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე—სამღვრთო ნაწილი იქურობს პირველის კურსის ორივე ადგილს მოთხრობისას, სურათებს. საღმრთო მოთხრობები თავდება ზეშიდა ნინას ცხოვრების და მოქმედების მოკლე ადწერით, რომელიც სურათიც არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზე ერთი თაბახი, ანუ 32 გვერდით, დიდია, მაგრამ ფასი კი შეუცვლელად არის დარჩენილი. გამომცემელი გრიგორიოვის მაღაზია იმყოფება კუკიის ხიდის ურთან, ბაღის პირ და-პირ.

შინაარსი: მშვენიერი წესი.—სამღვდელოების დეპუტატების კრება ქალაქ ქუთაისში.—მცხეთის სობორო.—ჯვარი ვაზისა.—შესხმა.—მეგრელთ სარწმუნოებისადმი ფრანგუელადან.—ასალი ამბები და შენიშვნები.—მღვდელთა საყურადღებოდ.—შეერთულებანი.—ანარეკლებანი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. დამბაშიძე. *Дозволено цензурою Кутаисъ, 19 января, 1887 г.*

მზეწრფელ-მზეკშაკი მღვ. დ. დამბაშიძისა ქ. ე. ი. ხელმძღვანელობა.